 სსიპ კოლეჯი მოდუსი

4 ჟიული შარტავას გამზირი
3700 რუსთავი, საქართველო
+995 (0341) 25 20 41
info@modusi.ge

24/06/2026

MES 8 26 0000792719

ბრძანება

რუსთავი

"სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - კოლეჯ "მოდუსის" დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის N82 ბრძნებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N44/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის კოლეჯი ,,მოდუსის" წესდების მე-5 მუხლის „ა" და „თ" პუნქტის საფუძველზე და სსიპ - კოლეჯ "მოდუსის" სასწავლო პროცესის მენეჯერის 2026 წლის 24 ივნისის N787702 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება "სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - კოლეჯ "მოდუსის" დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის N82 ბრძნებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის სახით.
2. დაევალოს სსიპ - კოლეჯ "მოდუსის" ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა სსიპ - კოლეჯ "მოდუსის" ადმინისტრაციისათვის.
3. დაევალოს სსიპ - კოლეჯ "მოდუსის" საინფორმაციო სისტემის ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტს სასწავლო პროცესის რეგულირების წესის განთავსება კოლეჯის ვებ-გვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. 6).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ კოლეჯი "მოდუსი"
დირექტორი
ქავთარაძე ნინო

ელექტრონული მზამავსმეღია

დანართი

სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო, სამართლებრივი საფუძვლები, ტერმინთა განმარტება

1.1. **რეგულირების სფერო**

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ კოლეჯი ,,მოდუსის" სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მართვის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნისა და პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმებს,

საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რეგულირდება პროფესიულ სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით, კოლეჯის წესდებითა და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიხედვით.

1.2. **კოლეჯის წინამდებარე წესის სამართლებრივი საფუძვლები:**

- ✓ საქართველოს კანონი "პროფესიული განათლების შესახებ;
- ✓ საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";
- ✓
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემა";
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანება „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ".
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის №188/ნ ბრძანება "არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ"
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანება „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ"
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის ბრძანება №11/ნ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ,
- ✓ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის დადგენილება №244 „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ"
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები

1.3. **ტერმინთა განმარტება**

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ✓ კოლეჯი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება – იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები;
- ✓ ადმინისტრაცია - კოლეჯის ხელმძღვანელობა ან პასუხისმგებელი პირი;
- ✓ პროფესიული განათლება – განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პირისთვის იმ კომპეტენციის/კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც/რომლებსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან/და შრომის ბაზარი და რომელიც/რომლებიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი – დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში);
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;
- ✓ პროფესიული სტუდენტი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ✓ გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტი - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი, რომელმაც დაძლია მოდული ,,ქართული ენა A2/B1“;
- ✓ აპლიკანტი – პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს ან/და რომელიც პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ”;
- ✓ მოდული – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;
- ✓ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება – პროფესიული საგანმანათლებლო პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ან/და რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით);
- ✓ პროფესიული სტუდენტი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ✓ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება - კოლეჯისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებით გათავისუფლება, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;
- ✓ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე;
- ✓ პროფესიული სტუდენტის მობილობა – პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;
- ✓ გარე მობილობა - პროფესიული სტუდენტის, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევა;
- ✓ შიდა მობილობა - პროფესიული სტუდენტის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ამავე დაწესებულებაში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო

პროგრამაზე გადასვლის შემთხვევა;

- ✓ ფორმალური განათლება - საგანმანათლებლო სასწავლებელში მიღებული განათლება;
- ✓ არაფორმალური განათლება - არაფორმალურ გარემოში შეძენილი პროფესიული ცოდნა-უნარები;
- ✓ ინკლუზიური განათლება - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში;
- ✓ დიპლომი - პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია კვალიფიკაცია;

1.4. ტერმინებს, რომლებიც ამ წესით არ არის განმარტებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

თავი II. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა და მობილობა.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაძლებელია მიღებული იქნას გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვების,შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის შესახებ, აგრეთვე, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის შესახებ.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება განისაზღვრება აპლიკანტის მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ (დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძ. №42/ნ) პროფესიული ტესტირების და / ან შერჩევის (მოტივაციური გასაუბრების) გავლის, ასევე, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით.
2. სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება განისაზღვრება „სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესისა და პირობების“- შესაბამისად.
3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ყველას აქვს უფლება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ისარგებლოს პროფესიული განათლების მიღების უფლებით;

4. პროფესიულ სტუდენტს,აგრეთვე პროფესიული განათლების მასწავლებელს და მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, დისკრიმინაციის გარეშე, ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესაბამისად, უმაღლესი პროფესიული განათლების მიღების საფუძველს წარმოადგენს, ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა;
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესაბამისად, პროფესიული განათლების მიღების საფუძველს წარმადგენს დაწესებულების მიერ ორგანიზებული შერჩევაში მონაწილეობა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა;
7. ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესაბამისად დადგენილი წესით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ტესტირებაზე, შერჩევაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო და/ან საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით ან / და პროფესიის სტანდარტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს;
8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესაბამისად.
9. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარებას ახდენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანების საფუძველზე „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3 . პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება დასაშვებია კოლეჯში დადგენილი წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
   ა) პირადი განცხადება;
   ბ) აკადემიური შვებულება, რომელიც სტუდენტს შეიძლება მიეცეს: ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, ორსულობისა და ახალშობილის მოვლის, უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების გამო,
   გ) სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება;
   დ)სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, თუ გასული არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;
   ე) ობიექტური გარემოების არსებობა, რომელიც პროფესიულ სტუდენტს ხელს უშლის სწავლის გაგრძელებაში;
   ვ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
3. დუალური/კოოპერატიული მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება, თუ კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას/სასწავლო საწარმოს შორის შეწყდა ხელშეკრულება. კოლეჯი და შესაბამისი დარგობრივი უნარების ორგანიზაცია, შესაძლებლობის ფარგლებში, ერთობლივად უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებაში ახალი პარტნიორი ორგანიზაციის/სასწავლო საწარმოს ჩართვას. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი და დარგობრივი უნარების ორგანიზაცია შესაბამისი გარემოების დადგომიდან 1 თვის ვადაში ვერ უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის განახლებას.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.
5. სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტი არ განიხილება კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

6. კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე და კოლეჯმა დაკარგა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, პროფესიული სტუდენტი მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად 5 წლის ვადით.
7. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას სტუდენტი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს და ითხოვს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას.
8. არასრულწლოვანისა და სსსმ/შშმ სტუდენტის შემთხვევაში განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას მშობლის/მეურვის მიერ, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება.
9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით გამოიცემა ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემის დღეს მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში და კანონდებლობით დადგენილი წესით აისახება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.
10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ამისთვის, პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯს, ან მის უფლებამონაცვლეს და ითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენას სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
11. სტატუსშეჩერებულ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით დაწესებულებას მიმართოს აკადემიური წლის განმავლობაში ანკეტა - კითხვარის შევსებამდე .
12. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგ, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
13. პროფესიულ სტუდენტს სტატუსის აღდგენის შემთხვევაში უნარჩუნდება გავლილი კრედიტები/დადასტურებული სწავლის შედეგები.
14. დუალური/კოოპერაციული მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, შესაბამის პერიოდში სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა შეთანხმებულია პარტნიორ საწარმოსთან.
15. თუკი პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენა განხორციელდა ისეთ პერიოდში, როდესაც პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება კრედიტების სრულყოფილად ათვისება, კოლეჯი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.
16. პროფესიული სტუდენტის სტატუსის ადგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა, გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
17. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის იმავე დაწესებულებაში, რომელშიც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დაწესებულება აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში. როდესაც პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება კრედიტების სრულყოფილად ათვისება, კოლეჯი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.
18. სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემის დღეს მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
19. სტატუსაღდგენილ პროფესიულ სტუდენტთან სსსმ პირის შემთხვევაში მის წარმომადგენელთან) სტატუსის აღდგენის დღეს ფორმდება ახალი ხელშეკრულება.
20. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ კანონდებლობით დადგენილი წესით აისახება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია ამ წესით და ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
   ა)პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება
   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
   გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, როცა სტატუსშეჩერებულმა პირმა/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ამ ვადის გასვლამდე წერილობითი ფორმით არ მოითხოვა სტატუსის აღდგენა;
   დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
   ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;
   ვ) კოლეჯის შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამოყენება;
   ზ) სწავლის საფასურის გადაუხდელობა, როდესაც პროფესიული სტუდენტი თავად იხდის სწავლის საფასურს და არ ითხოვს პროფესიული სტატუსის შეჩერებას გადაუხდელობის გამო;
   თ) გარდაცვალება;
   ი) კოლეჯისთვის ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა;
   კ) კოოპერაციული/დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, პარტნიორი კომპანიის/სასწავლო საწარმოს მიერ პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების შეწყვეტა პროფესიული სტუდენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან/და კოლეჯში/საწარმოში განსახორციელებელი სწავლის შედეგ(ებ)ის შესაბამის პერიოდში მიუღწევლობის გამო;
   ლ)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ვერ/არ დადასტურება პროგრამის დასრულებამდე, გათვალისწინებული დამაკმაყოფილებელი შეფასების ვერ/არ მიღება, მათ შორის განმეორებითი შეფასებით, ასევე, იმ შემთხვევაში თუ არ იქნება წერილობითი მომართვა დამატებითი შეფასების დანიშვნასთან დაკავშირებით.
   მ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი მოდულის სწავლის შედეგების ვერდადასტურება, რომელიც არისპროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების წინაპირობა, რომელთა საკონტაქტო საათების ჯამი შეადგენს სრული პროგრამის ერთ მესამედს.
   ნ)სწავლის დაწყებიდან ორი სასწავლო კვირის პერიოდში ხელშეკრულების ვერ გაფორმება სტუდენტის/(არასრულწლოვანისა და სსსმ/შშმ სტუდენტის შემთხვევაში მშობლის/მეურვის) კოლეჯში გამოუცხადებლობის გამო, კოლეჯის რეგულაციებით განსაზღვრული ობიექტური, საპატიო მიზეზის არარსებობის შემთხვევაში;
   ო) კოლეჯში, სასწავლო პროცესზე ერთი თვის მანძილზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;
   პ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების ერთ მესამედზე მეტის გაცდენა (საპატიო, არასაპატიო);
   ჟ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემის დღეს მონაცემები შეიტანება განთლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას (წერილობითი ფორმით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით), მის მიერ დაგროვილი გაცდენილი დღეების/საათების გამო მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის მობილობა (შიდა და გარე მობილობა)

1. პროფესიული სტუდენტის მობილობით რეგულირდება პროფესიული სტუდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის პროცედურები.
2. შიდა და გარე მობილობის (შემდგომში - მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის კოლეჯის ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების) პროფესიული სტუდენტი.
3. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
5. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
6. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25 %-ით. ასეთ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
7. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლობს შიდა ან გარე მობილობით.
8. შიდა მობილობა გულისხმობს კოლეჯის შიგნით ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზე გადასვლას.
9. შიდა მობილობა დასაშვებია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მომენტიდან სამი კვირის განმავლობაში, ხოლო პროგრამის გაუქმების ან პროგრამის შეცვლის შემთხვევაში - ნებისმიერ დროს. აღნიშნული წესიდან გამონაკლისის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით იღებს კოლეჯის დირექტორი.
10. კოლეჯში შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში, თუ შეიცვალა პროგრამა და მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე მობილობა აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას. აღნიშნულთან დაკავშირებით დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯი.
11. შიდა მობილობის სურვილის შესახებ პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს დირექტორს, სადაც მიუთითებს, თუ რომელ პროგრამაზე სურს გადასვლა შიდა მობილობის წესით.
12. სასწავლო პროცესის მენეჯერისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ მიერ დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის დასკვნა აღიარებული კრედიტების მითითებით.
13. დასკვნა წარედგინება დირექტორს და ასევე, ინფორმაცია მიეწოდება პროფესიულ სტუდენტს.
14. დადებითი დასკვნის შემთხვევაში გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პროფესიული სტუდენტის შიდა მობილობის შესახებ. აქტში მიეთითება აღიარებული კრედიტების რაოდენობა და/ან სწავლის შედეგები.
15. მობილობის გზით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიტანება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში, სადაც სტატუსი „მობილობით გადასული“ იცვლება პროფესიული სტუდენტის სტატუსით. ამის შემდეგ, შიდა მობილობის მსურველ პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, საიდანაც გადადის ის.
16. გარე მობილობა გულისხმობს პროფესიულ სტუდენტის გადმოსვლას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ან კოლეჯის პროფესიული სტუდენტის გადასვლას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

17. გარე მობილობის სურვილის შემთხვევაში, კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის გადასვლას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რისთვისაც პროფესიულ სტუდენტს აძლევს პირადი საქმის ასლს და/ან მოთხოვნილ დოკუმენტაციას.
18. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემით შემოსული ელექტრონული განაცხადის საფუძველზე, კოლეჯი ადასტურებს მობილობას და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასულ პროფესიულ სტუდენტს დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უწყვეტს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
19. სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით გადმოსვლის/ჩარიცხვის მსურველი პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კოლეჯში წარადგინოს განცხადება მობილობის შესახებ. აუცილებელ წარსადგენ დოკუმენტაციად მიიჩნევა მობილობის მსურველი პირის პირადი საქმე და მის მიერ გავლილი და დადასტურებული მოდულების, ან ცალკეული სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საჭიროების შემთხვევაში, მობილობის მსურველი პირის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი დამატებით განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
20. გარე მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვის მიზნით, დირექტორი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას, რომელიც განიხილავს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და შესაბამის რეკომენდაციას უწევს კოლეჯის დირექტორს პროფესიული სტუდენტის მობილობის გზით ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.
21. მიმღები დაწესებულება უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.
22. დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:
    ა) დაწესებულებას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
    ბ) დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
    გ)მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
    დ) ვერ წარმოადგენს მობილობისთვის მოთხოვნილ დოკუმენტაციას სრულად.
23. დაწესებულება ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.
24. აღიარების პროცედურების გავლის შემდგომ დგება აღიარების დოკუმენტი, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – იმავე დაწესებულების სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
25. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტი, ხოლო ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიულ სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ. შესაძლებელია კოლეჯის მიერ დადგინდეს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების შესაბამისობა მათ დასახელებაში არსებული სხვაობის მიუხედავად.
26. აღიარებას ექვემდებარება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
27. მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

28. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.
29. საბოლოო გადაწყვეტილებას, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ, იღებს დირექტორი.
30. მობილობით ჩარიცხული პირისათვის, საჭიროების შემთხვევაში, დგება ინდივიდალური სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავებაში თავად პირს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა.
31. ინფორმაცია კანონდებლობით დადგენილი წესით აისახება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისა ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების, დახვეწის, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით, კოლეჯმა შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში (მათ შორის ავტორიზაციის დაკარგვის შემთხვევაში), კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.
2. პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას კოლეჯი ახორციეებს შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) მისცეს მიმდინარე საფეხურის/დონის დასრულების შესაძლებლობა გასაუქმებელი საგანამანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება არ ხორციელდება.

ბ) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულება აფორმებს ხელშეკრულებას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ/მსგავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

გ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;

დ) უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

ე) გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

3. პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველსაყოფად, მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ცვლის პროგრამის მისაღწევ მიზნებს და შედეგებს, ცვლილებები განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ხოლო გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილი მოდულების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შესაბამისად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების დადგენას არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს შორის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის ქმნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების შესაძლებლობას.
5. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს იმავე ან მსგავსი მიმართულების სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;.
6. შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
7. მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შესახებ მოტივირებულ გადაწყვეტილებას ღებულობს კოლეჯის დირექტორი კოლეჯში შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შესაბამისი

პროგრამის სპეციალისტების, დამსაქმებლების და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირების) დასკვნის საფუძველზე; პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაო ჯგუფი ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომიჯნავე პროგრამასთან გაერთიანების შესაძლებლობის საკითხი და ინფორმაცია მიაწოდოს როგორც პროფესიულ სტუდენტს ასევე კოლეჯის ადმინისტრაციას. ამავე დროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე მოიძიოს სხვა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის შემთხვევაში ინფორმაცია მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტს.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯში დასაშვებია მხოლოდ მომიჯნავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება. გაერთიანებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილი სწავლის შედეგების აღიარებას.
9. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

თავი III სასწავლო პროცესის ორგანიზება

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. (იხ.საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია);
2. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მენეჯერის/მარნეულის სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერის მიერ შედგენილი საგაკვეთილო განრიგის შესაბამისად, რომელიც შედგენილია პროგრამის განმახორციელებლებთან შეთანხმებით. საგაკვეთილო განრიგის გაზიარება ხდება პროგრამის განმახორციელებლებთან და იტვირთება კოლეჯის ვებ-გვერდზე.პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.
3. კოლეჯში დაწესებულია ხუთდღიანი სასწავლო კვირა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შაბათი-კვირა, როგორც სასწავლო/სამუშაო დღე.
4. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (დატვირთვა) მოიცავს 5 - 7 საკონტაქტო საათს.
5. ლექციის ხანგრძლივობაა ერთი ასტრონომიული საათი (აკადემიური საათი - 50 წუთი, ლექციებს შორის პერიოდში შესვენება - 5 წუთი, მესამე გაკვეთილის შემდეგ დასვენება 10 წთ.
6. პროფესიულ სტუდენტთა ლექციაზე დასწრების აღრიცხვის მიზნით კოლეჯში იწარმოება დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, ხოლო საწარმოო პრაქტიკის შემთხვევაში საწარმოში გამოცხადება დასტურდება პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალით.
7. სასწავლო კვირის მაქსიმალური დატვირთვა შეადგენს 30-40ასტრონომიული საათი ერთ ცვლაში.
8. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით ორ ცვლაში., რომელიც შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად.
9. სალექციო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
   ა) მოდულის დასახელება;
   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის განმახორციელებლის სახელი, გვარი;
   გ) ლექციის დაწყებისა და დასრულების დრო.
10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არდადეგები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

11. თუ ერთი და იმავე პროგრამის პარალელურ ჯგუფებში დარჩება ჯამში 5 პროფესიული სტუდენტი დირექცია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ჯგუფების გაერთიანების თაობაზე, თუკი ეს არ გააუარესებს პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას ცვლილებიდან გამომდინარე.

მუხლი 8. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი და პირობები.

1. სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი (შემდგომ წესი) განსაზღვრავს კოლეჯში საჭიროების შემთხვევაში, როგორც ალტერნატიული სწავლების მოდელით ჩანაცვლების პირობებს;
2. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი (შემდგომ წესი) ვრცელდება სასწავლო პროცესში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიული სტუდენტებზე.
3. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის პროცესში, გამოიყენება და ვრცელდება, კოლეჯში მოქმედი ყველა წესი და რეგულაცია, რაც ეხება სასწავლო პროცესის ორგანიზებას და შესაძლოა გამოყენებულ იქნას დისტანციურად სწავლების რეჟიმში.
4. ელექტრონული სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას, ეპიდემიით ან პადემიით გამოწვეული მდგომარეობისას, დადგენილი დროებითი შეზღუდვების დროს; რთული მეტეოროლოგიური პირობებისა და ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში.
5. ელექტრონული სწავლება (დისტანციური სწავლება) პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ პერსონალიზებული და მოქნილი (დროისა და ადგილის მიხედვით) მეთოდები, ამასთანავე უზრუნველყონ სწავლის შედეგების მიღწევა ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენების გზით.
6. კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტ(ებ)თან მიმართებით ან ზოგადად სწავლების ელექტრონულ სისტემის გამოყენების შესახებ, გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს შეფასებების ჩატარების ფორმა, სწავლის პერიოდის განსხვავებული ვადები, კონკრეტული მიმართულებებისთვის/ დარგებისთვის განსხვავებული ვადები და პირობები.
7. ელექტრონული (დისტანციური) სწავლება შეიძლება განხორციელდეს იმ მოდულების ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრულია (ნებადართულია) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით;
8. სწავლების ელექტრონული სისტემა უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგებზე გასვლა.
9. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის შემთხვევაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სრულიად ელექტრონულად, სინქრონულად, კოლეჯში მიღებული რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.
10. ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ერთდროულად ერთვებიან პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები.
11. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების და სტუდენტების დატრენინგებას (ინსტრუქტაჟის ჩატარებას) ელექტრონული პლატფორმების გამოყენებაში;
12. გაკვეთილები მიმდინარეობს, სასწავლო პროცესის მენეჯერის/მარნეულის სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერის მიერ შედგენილი საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად.
13. გაკვეთილების ხანგრძლივობა განსაზღვრულია, სასწავლო პროცესის მენეჯერის/მარნეულის სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერის მიერ შედგენილი საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად.
14. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, დაიცვას სასწავლო სასწავლო პროცესის მენეჯერის/მარნეულის სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერის მიერ შედგენილი ცხრილის განრიგი და დროულად მოახდინოს ელექტრონულად გაკვეთილის დაწყება და ორგანიზება.
15. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა ის სწავლების მეთოდი, რომელიც ელექტრონული სწავლების ფორმატში ყველაზე უფრო ეფექტურია და ხელს უწყობს შედეგების მიღწევას.
16. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, აკონტროლოს პროფესიული სტუდენტების დასწრება.

17. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მაქსიმალურად უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობა.
18. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მეცადინეობის ჩაშლის, გადადება-აღდგენის შემთხვევა, აცნობოს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს, შემდგომი რეაგირებისთვის.
19. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის ადაპტირებული, ვიზუალური მასალის ხელმისაწვდომობა, დაზუსტებული სასწავლო მოდულის შესაბამისად. (სსსმ სტუდენტის შესაძლებლობიდან გამომდინარე ჩართვის შემთხვევაში).
20. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით ჩაერთოს სასწავლო პროცესში.
21. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და გამორიცხოს ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორი.
22. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, გაითვალისწინოს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინსტრუქციები.
23. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, საგაკვეთილო პროცესში ჩართული ქონდეს ვებ- კამერა, მიკროფონი, რათა პროფესიული განათლების მასწავლებელს ქონდეს მისი ვიზუალურად დანახვის და მოსმენის შესაძლებლობა.
24. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დისტანციური სწავლების მიუხედავად სწავლის შედეგები დაადასტუროს პირისპირ ფორმატში;
25. გაკვეთილების მსვლელობა უნდა იქნეს ჩაწერილი შემდგომი მონიტორინგის მიზნით.
26. იმ შემთხვევაში როდესაც, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ეტაპზე არ ყოფილა მოთხოვნილი პროგრამის/პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების დისტანციურად განხორციელება, პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი მიმართავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმით

მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის / მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის / პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი

1. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევას რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში.
2. პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია დუალური ან კოოპერაციული სწავლებით.
3. პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია, განხორციელდეს დაწესებულებაში.
4. დუალური სწავლება გულისხმობს კოლეჯსა და სასწავლო საწარმოს, რომელსაც საქართველოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული აქვს/აქვთ სასწავლოსაწარმოს სტატუსი (შემდგომში – სასწავლო საწარმო) მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში.
5. დუალური სწავლებისას პროფესიულ სტუდენტსა და სასწავლო საწარმოს შორის, ფორმდება შრომითი ან სამუშაოს შესრულების/მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მიერ ამავე საწარმოში მისაღწევ სწავლის შედეგებთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებას.
6. კოოპერაციული სწავლება გულისხმობს კოლეჯსა და პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლების მქონე მეწარმე სუბიექტის/იურიდიულ პირის ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში.

7. პროგრამის შემუშავება და განხორციელება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალური მიდგომით სწავლების შემთხვევაში პროგრამა შემუშავდება კოლეჯსა და სასწავლო საწარმოს მიერ ერთობლივად, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის მხარდაჭერით.
8. სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის შეფასებისას, გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით, ხოლო მიმდინარე და შუალედური შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.
9. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და თემატიკა ეხება მხოლოდ შუალედური შეფასების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლის შედეგებს.
10. დუალური მიდგომით გახორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შუალედური შეფასება სავალდებულოა.
11. პროფესიული სტუდენტისათვის კრედიტის მინიჭება ხორციელდება მხოლოდ მოდულის ყველა სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
12. დუალური მიდგომითთ პროგრამის განხორციელებისას პროფესიული სტუდენტი აწარმოებს ჩანაწერების ჟურნალს, რომლის ფორმაც დამტკიცებულია საქართველოს განათლების,მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ.
13. ჩანაწერების ჟურნალში აღირიცხება პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობები სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში. ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებას.
14. დუალური მიდგომით გახორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა. საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების დამატებით წინაპირობას წარმოადგენს სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი.
15. კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
16. დუალური მიდგომით გახორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება.

მუხლი 10. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი

1. საწარმო პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი და სასწავლო და საწარმო პრაქტიკის მენეჯერი
2. პარტნიორი ორგანიზაცია გამოყოფს საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელს/ინსტრუქტორს, რომელიც ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას პროგრამის/მოდულის ჩანაწერების შესაბამისად.
3. სასწავლო და საწარმო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა განაწილებას ობიექტებზე.
4. სასწავლო და საწარმო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი აწყობენ სამუშაო შეხვედრას პროფესიულ სტუდენტებთან პრაქტიკის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე და ახორციელებენ მათ ინფორმირებას შემდეგზე:
   ა) საწარმოო პრაქტიკის დღეების ხანგრძლივობა;
   ბ) სამუშაო ადგილზე მისვლის და წამოსვლის დრო
   გ) დღის განმავლობაში პრაქტიკის საათების რაოდენობა.
5. პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილება ხდება პრაქტიკული სწავლების მენეჯერის ინიცირების საფუძველზე, საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე;

6. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ კეთდება ოფიციალური მიმართვა/წერილი, სადაც ასახულია პრაქტიკის ობიექტის დასახელება, პრაქტიკის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის დასახელება, პრაქტიკის ხანგრძლივობა, მოცულობა და ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტების სახელობითი სია.
7. სსსმ პროფესიული სტუდენტების საწარმო პრაქტიკაზე განაწილება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით კანონიერ წარმომადგენელთან ერთად.
8. საჭიროების შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკაზე განაწილება კოლეჯი უფლებამოსილია გადაიტანოს საწარმოო პრაქტიკა, რისთვისაც შეაქვს ცვლილება სასწავლო გეგმაში.
9. პროფესიული სტუდენტის მხრიდან ინიცირების შემთხვევაში, შესაძლებელია, კონკრეტული პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი.
10. სასწავლო და საწარმო პრაქტიკის მენეჯერი ან/და პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროფესიულ სტუდენტთა გამოცხადების კონტროლზე. პროფესიული სტუდენტის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან კომპანიის მიერ შრომის კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ის ვალდებულია წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია დირექციას.
11. სასწავლო და საწარმო პრაქტიკის მენეჯერი ვალდებულია საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ მაქსიმუმ 3 დღის ვადაში ჩაიბაროს საწარმოო პრაქტიკის დღიურები და საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებლის/საწარმოს ინსტრუქტორის მიერ ხელმოწერილი შეფასების უწყისები და წარმოადგინოს წერილობითი ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების თაობაზე.
12. პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდება პროგრამის/მოდულის ჩანაწერების შესაბამისად.
13. საწარმოო პრაქტიკის შედეგების შეჯამება ხდება პრაქტიკის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

თავი IV. პროფესიული სტუდენტის (შემდომში სტუდენტის) /მსმენელის უფლებები, ვალდებულებები და შეზღუდვები

მუხლი 11. პროფესიული სტუდენტისუფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრა.

1. კოლეჯში პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს კანონით პროფესიული განათლების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობისმინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით.
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 თავით განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები, შეზღუდვები და სხვა რეგულაციები უნდა იქნას გაცნობილი პროფესიულ სტუდენტისათვის, რაც უნდა დადასტურდეს ხელშეკრულების გაფორმების დროს, პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესაბამისი ჩანაწერით.
3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის და დასაქმებულის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის უფლებები.

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:

1. უზრუნველყოფილ იქნას სწავლების მაღალი ხარისხით – მიიღოს ისეთი პროფესიული განათლება, რომელიც პროგრამის დასრულების შემდეგ კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე.
2. სწავლების პროცესში უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.
3. უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის მართებულად წარმართვისათვის აუცილებელი სასწავლო მასალით.
4. გამოიყენოს კოლეჯის ბიბლიოთეკის რესურსები სასწავლო მიზნებისათვის.
5. ისარგებლოს სტუდენტებისათვის განკუთვნილი კომპიუტერული საინფორმაციო ქსელით.
6. უზრუნველყოფილი იქნას პრაქტიკული სასწავლო კომპონენტის გასავლელად საჭირო პრაქტიკული ბაზით კოლეჯში ან კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციაში.

7. მოითხოვოს პრაქტიკული სწავლებისთვის განაწილებული იქნას თავის სამუშაო ადგილზე თუ პროფესიული სტუდენტი სწავლასთან ერთად მუშაობს პროფილით, შესაბამისი დოკუმენტის (ცნობის, შრომითი ხელშეკრულების და სხვ.) წარმოდგენის შემთხვევაში.
8. დირექციასთან შეთანხმებით ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზით მეთვალყურეობის ფარგლებში დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად, შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური რესურსის არ ქონის შემთხვევაში.
9. სწავლის შედეგების დადასტურებისათვის განკუთვნილ შეფასების საათებზე დამაკმაყოფილებელი შეფასების ვერ მიღების შემთხვევაში, მოითხოვოს გადაბარება მხოლოდ ერთჯერ პროგრამის დასრულებამდე, თუ მის მიერ დაუდასტურებელი მოდული არ არის სხვა მოდულების წინაპირობა, ხოლო წინაპირობის არსებობის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დაადასტუროს სწავლის შედეგები სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (7 დღე), შეფასებისთვის გამოსაყენებელი სახარჯი მასალის გამოყენების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია დაადგინოს განმეორებითი შეფასებისთვის საფასური ინდივიდუალურად;
10. პირადი განცხადების/პირადი კომუნიკაციის საფუძველზე სასწავლო პროცესის მენეჯერთან და მასწავლებელთან შეათანხმოს შეფასების ხელმეორედ გადაბარების თარიღი, კოლეჯის რეგულაციით განსაზღვრული საპატო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე).
11. საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად, დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს ან ისარგებლოს მობილობის და/ან კოლეჯიის რეგულაციებით განსაზღვრული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში.
12. სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს სასწავლო პროცესის ათვისებისათვის აუცილებელი ინფორმაცია და ინსტრუქციები კოლეჯის და უშუალოდ სასწავლო პროცესის ხელმძღვანელებისაგან.
13. დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.
14. გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა.
15. გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს კოლეჯის დირექტორთან კოლეჯში დასაქმებულის ან/და სხვა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ ჩადენილი არამართლზომიერი ქმედება.
16. კოლეჯის არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
17. დადგენილი წესით მიიღოს შესაბამისი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.
18. დამატებითი შეფასების / გამოცდის საფასური განისაზღვრება არსებული რეალობის გათვალისწინებით (გადატანილი შეფასებაა თუ განმეორებითი) კოლეჯის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
19. სასამართლოში გაასაჩივროს საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.
20. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია საკუთარი სასწავლო პროცესთან და სტუდენტურ აქტივობებთან დაკავშირებით მოსაზრებები/წინადადებები განათავსოს კოლეჯის შენობაში განთავსებულ წინადადებების ყუთში;

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის ვალდებულებები.

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

1. არ დაიგვიანოს და არ გააცდინოს სასწავლო პროცესი, ასევე, არ დატოვოს აუდიტორია მეცადინეობის მიმდინარეობის დროს (გარდა განსაკუთრებული საჭიროებებისა, სათანადო ნებართვით).
2. ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში (არაუმეტეს 3 დღისა) მოახდინოს ადმინისტრაციის ინფორმირება მეცადინეობების გაცდენის თაობაზე, რის საფუძველზეც ადმინისტრაციის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება გაცდენების საპატიოდ ჩათვლა/არ ჩათვლის თაობაზე.
3. არ დაანაგვიანოს სასწავლებელის შენობა და ტერიტორია, დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესები.
4. გაუფთხილდეს და დაიცვას კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები; მატერიალური ქონება გამოიყენოს კეთილსინდისიერად.
5. არ ისარგებლოს საკომუნიკაციო საშუალებებით, რაც გამოიწვევს სასწავლო პროცესის შეფერხებას.

6. პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და კოლეჯის თანამშრომლების ღირსებას, არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი.
7. საცხოვრებელი ადგილის ან ტელეფონის ნომრის გამოცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას.
8. დაემორჩილოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნებს და კოლეჯში დასაქმებული უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს.

მუხლი 14. პროფესიულ სტუდენტის შეზღუდვები.

პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

1. შენობაში თამბაქოს მოწევა.
2. ალკოჰოლური სასმელების და საქართველოს კანონმდებლობით უნებართვოდ აკრძალული ნივთიერების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და რაიმე ფორმით გამოყენება.
3. ალკოჰოლური თრობისას ან რომელიმე ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას კოლეჯის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება.
4. კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის ადმინისტრაციასთან.
5. სასწავლო პროცესისადმი ხელის შეშლა, ხმაური, საუბარი და სხვა.
6. მეცადინეობაზე მობილური ტელეფონის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენება.
7. პედაგოგის განკარგულების ან დავალების შეუსრულებლობა/ დაუმორჩილებლობა.
8. შეფასების მიღების მცდელობა მუქარით, ზემოქმედებით, თაღლითური ან სხვა დაუშვებელი მეთოდებით.
9. მეცადინეობების ჯგუფური მიტოვება.
10. მეცადინეობებზე სისტემატური დაგვიანება.
11. დაწესებულებაში სასწავლო გარემოსათვის შეუფერებელი სამოსით გამოცხადება.
12. ადმინისტრაციის ბრძანებების და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნორმების დარღვევა.
13. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების რეგულაციებით/იურიდიული პირის მიერ განსაზღვრული წესით ან/და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით.

მუხლი 15. პროფესიული სტუდენტის ყოფაქცევაზე პასუხისმგებლობა.

1. აუდიტორიაში სტუდენტის ყოფაქცევაზე პასუხისმგებელია პროფესიული მასწავლებელი (შემდგომში მასწავლებელი).
2. თუ პროფესიული სტუდენტი დაარღვევს წესრიგს ან კანონს და ამით ხელს შეუშლის მეცადინეობის მსვლელობას, მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს აღნიშნული გადაცდომის შესახებ წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს ან სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომლებიც განიხილავენ აღნიშნული გადაცდომის მიზეზებს და საჭიროების შემთხვევაში დააყენებენ ადმინისტრაციის წინაშე სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხს.
3. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯისათვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის გამო ზიანის ოდენობის შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვანის, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელს).
4. პროფესიული სტუდენტის მიერ ამ წესის მე–20-ე, მე–21-ე და მე-22-ე პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევა განიხილება დისციპლინარულ გადაცდომად და კოლეჯი უფლებამოსილია დამრღვევ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მოსთხოვოს ახსნა–განმარტება და ჩადენილი დარღვევის ხარისხის გათვალისწინებით გამოიყენოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ერთ–ერთი ფორმა:
   ა) გაფრთხილება;
   ბ) შენიშვნა;
   გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
5. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას წარჩინებული, სანიმუშო, აქტიური პროფესიული სტუდენტების/მსმენელების წახალისების შესახებ. ამ მიზნით, შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე. წახალისების ფორმით შეიძლება გამოყენებულ იქნას:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი ნამუშევრით დასაჩუქრება;
გ) ექსკურსია;

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის ლექციიდან გათავისუფლება

1. პროფესიული სტუდენტის 10 დღემდე ვადით ლექციიდან/პრაქტიკული მეცადინეობიდან გათავისუფლების უფლებამოსილება ენიჭება დირექტორს მოადგილეს სასწავლო მიმართულებით, რისთვისაც პროფესიული სტუდენტი წერს განცხადებას დირექტორის მოადგილის სახელზე.
2. პროფესიული სტუდენტის 10 დღეზე მეტი ვადით გათავისუფლების უფლებამოსილება ენიჭება დირექტორს, რისთვისაც პროფესიული სტუდენტი წერს განცხადებას დირექტორის სახელზე.
3. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის გათავისუფლების შესახებ მიიღება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით და ეცნობება პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს წერილობით ან ზეპირსიტყვიერად.

მუხლი 17. პროფესიული სტუდენტის გაცდენების კოლეჯის მიერ საპატიოდ ჩათვლა

1. პროფესიულ სტუდენტს გაცდენა ჩაეთვლება საპატიოდ, თუ გაცდენის მიზეზია:
   ა) საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო და სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა, მოკლევადიანი ვიზიტით გამგზავრება საზღვარგარეთ სასწავლო საგანმანათლებლო მიზნებისთვის (მაგ. მონაწილეობა ტრენინგებში, კონფერენციებში და ა.შ.), მაგრამ არაუმეტეს10 სამუშაო დღისა;
   ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობა (შესაბამისი დოკუმენტის გაცემიდან 10 სამუშაო დღეში წარმოდგენის შემთხვევაში);
   გ) ოჯახური პირობები (შესაბამისი დამადასტურებელი გარემოებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში), არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას პროფესიულმა სტუდენტმა/პროფესიული სტუდენტის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, ხოლო „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით პროფესიული სტუდენტის გაცდენების საპატიოდ ჩათვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის წერილობით მიმართვაში აღნიშნული გარემოებების შეფასების, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის საფუძველზე.
3. პროფესიული სტუდენტის გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.

თავი V - ფორმალური განათლება

მუხლი 18. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება

1. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს კოლეჯი ამ მუხლის შესაბამისად და დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე, კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის ბრძანება N121/ნ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის No120/ნ „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების საფუძველზე.
2. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (შემდგომში – ფორმალური განათლების აღიარება) მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.
3. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

4. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.
5. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან.
6. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) განცხადების წარდგენა;

ბ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;

გ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

დ) კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

7. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.
8. განმცხადებლის მიერ კოლეჯისთვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კოლეჯის დასახელებას;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

9. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს.

10. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე.
11. კოლეჯი არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე კოლეჯის მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.
12. კოლეჯი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი დაწესებულებას არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, კოლეჯი განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

13. თუ კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
14. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ გარე მობილობის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.
15. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან. კოლეჯი ვალდებულია კომისიის შემადგენლობაში უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირის მონაწილეობა. კოლეჯს უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.
16. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
17. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
18. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
19. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
20. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
21. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.
22. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
    ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
    ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
23. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/პროფესიული კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.
24. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.
25. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
    ა) დასახელება;
    ბ) განმცხადებლის ვინაობა;
    გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/პროფესიული კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
    დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
    ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
    ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.
26. კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
27. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 19. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მექანიზმი

1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესისა და სხვა ინფორმაციის გასავრცელებლად კოლეჯი იყენებს კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელსა და პირისპირ შეხვედრებს.
2. დაინტერესებულ პირ(ებ)ს დაწვრილებით ინფორმაციას აწვდის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირ(ებ)ი.

VI თავი შეფასება

მუხლი 20. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასება

სტუდენტთა მიღწევების შეფასება უწყვეტი და სწავლების სრული ციკლის თანამდევი პროცესია. პროფესიული სტუდენტისთვის შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პერიოდის მანძილზე. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით, მოდულებით და ამ წესით.

მუხლი 21. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელ შეფასებაზე გამოცხადებით პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ ის იცნობს მისი ჩატარების წესებს;
5. განმსაზღვრელ შეფასებაზე დაგვიანება განიხილება გამოუცხადებლობად;
6. მოდულის კრედიტები ათვისებულად ითვლება მოდულის ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში.
7. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში.
8. შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს/სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს.
9. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად - ერთი ინსტრუმენტით.
10. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის სპეციალისტი ვალიდაციის პროცესში რთავს მომიჯნავე სპეციალობის პროფესიული განათლების მასწავლებელს და/ან დარგის წარმომადგენელს და/ან მოწვეული სპეციალისტს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის სპეციალისტი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და ხოლო მომიჯნავე სპეციალობის პროფესიული განათლების მასწავლებელი და/ან დარგის წარმომადგენელი და/ან მოწვეული სპეციალისტი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას;
11. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით.
12. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის.
13. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე, ერთხელ მოითხოვოს სწავლის შედეგ(ებ)ის/შესრულების

კრიტერიუმ(ებ)ის მიღწევის დამატებითი შეფასება, თუ დამატებითი მოთხოვნები შეფასების ინსტრუმენტში გაწერილი არაა.

14. განმსაზღვრელ შეფასებაზე არგამოცხადების შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს;
15. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ოჯახის წევრის გარდაცვალება, პირადი განცხადება (მიზეზის მითითებით) - წინასწარი თხოვნა შეფასების თარიღის გადატანის თაობაზე ან სხვა ობიექტური გარემოება, რაც დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი ცნობით;
16. სწავლის შედეგების დადასტურებისათვის განკუთვნილ შეფასების საათებზე დამაკმაყოფილებელი შეფასების ვერ მიღების შემთხვევაში, მოითხოვოს გადაბარება მხოლოდ ერთჯერ პროგრამის დასრულებამდე, თუ მის მიერ დაუდასტურებელი მოდული არ არის სხვა მოდულების წინაპირობა, ხოლო წინაპირობის არსებობის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დაადასტუროს სწავლის შედეგები სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (7 დღე), შეფასებისთვის გამოსაყენებელი სახარჯი მასალის გამოყენების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია დაადგინოს განმეორებითი შეფასებისთვის საფასური ინდივიდუალურად;
17. სწავლის შედეგების არ/ვერ დადასტურება ითვლება სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად;
18. წინაპირობის არარსებობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროგრამის დასრულებამდე გონივრული ვადით ადრე (მინიმუმ 2 თვე) შეათანხმოს დაუდასტურებელი სწავლის შედეგის დადასტურების (განმეორებითი შეფასების) თარიღი ზეპირსიტყვიერად პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან.
19. განმეორებით შეფასებაზე სტუდენტის არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.
20. შეფასებისას ტესტის გამოყენებისას, როდესაც პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, მიზანშეწონილია განმეორებითი შეფასებისას უკვე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტით გათვალისწინებული კითხვები ნაწილობრივ შეიცვალოს. სასურველია დახურული კითხვების ნახევარი შეიცვალოს, ხოლო ღია კითხვები შესაძლებელია უცვლელი დარჩეს.
21. შეფასების პრაქტიკული დავალება დაკვირვებით/პრაქტიკული დავალების გამოყენებისას, როდესაც პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, შესაძლებელია განმეორებითი შეფასებისას გამოყენებული იყოს იგივე შეფასების ინსტრუმენტი.
22. სწავლის შედეგის ვერდადასტურება, რომელიც გამოწვეულია არგამოცხადებით, განმეორებითი შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იგივე შეფასების ინსტრუმენტი.
23. შეფასების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და ფორმის შესახებ პროფესიულ სტუდენტებს ეცნობებათ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ 5 დღით ადრე;
24. პრაქტიკის ობიექტზე სწავლების შემთხვევაში (კოოპერატიული სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში შეფასების შემთხვევაში) შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი.
25. შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით.
26. პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.
27. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
28. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

29. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებით;
30. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამა) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი მენტორი/ინსტრუქტორი.
31. კოლეჯსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, განრიგის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტი მუშაობს კომპანიაში/საწარმოში ინსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ, აწარმოებს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში, უდასტურებს სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი შერჩევით ადასტურებს შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის დროს.
32. დუალური პროგრამების შემთხვევაში შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.
33. შუალედურ გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა დამატებით შუალედურ გამოცდაზე გასვლის უფლება ერთჯერადად შესაბამისი განცხადებისა და გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო დამატებით შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მიეცემა ცნობა გავლილი პროგრამის შესახებ.
34. დუალური პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
35. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება თეორიული და პრაქტიკული გამოცდის სახით და საგამოცდო თემატიკა არ სცილდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
36. შეფასების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და ფორმის შესახებ პროფესიულ სტუდენტებს ეცნობებათ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ 5 დღით ადრე;
37. შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტეთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით.
38. პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან/სასწავლო პროცესის კოორდინატორისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.
39. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
40. მოდულის დასრულების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებლები შეკრებილ მტკიცებულებებს შენახვისა და ელექტრონულად აღრიცხვის მიზნით, გადასცემენ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირს. მის მიერ შეგროვებული მტკიცებულებები უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ინახება სტუდენტის პორტფოლიოში.
41. პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის განხილვის დროს სასწავლო პროცესის სპეციალისტი შეგროვებულ მტკიცებულებებს სტუდენტთა პორტფოლიოს სახით წარუდგენს სარევიზო კომისიას, ხოლო შემდეგ მტკიცებულებები სტუდენტთა პორტფოლიოს სახით გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით.
42. შეფასების მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფოლიოები დაცულია კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - უვადოდ;
43. შეფასების მტკიცებულებები, (სტუდენტთა პორტფოლიოები) 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს.

მუხლი 22. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი -აღნიშნული წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის ბრძანება №48/ნ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი (შემდგომში – წესი) ადგენს იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
2. დადასტურება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ფორმალურ დამოწმებას.
3. ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა უნდა იყოს:
   ა) ვალიდური;
   ბ) სანდო;
   გ) გამჭვირვალე;
   დ) სამართლიანი;
   ე) ობიექტური.
4. კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასებას.
5. შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამასთან, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება.
6. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.
7. განმავითარებელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის.
8. პროფესიული სტუდენტი ფასდება შეფასების ტაქსონომიის გამოყენებით თითოეული თემის კონტექსტში და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.
9. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასების კონვერტაცია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ხდება მოდულის დასრულებისთანავე, ამ წესის დანართით გათვალისწინებული ათქულიანი სისტემით ოთხი დონის მიხედვით.
10. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისათვის გამოიყენება დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:
    ა) მოდულის ქულა – პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება;
    ბ) საფეხურის ქულა – პროგრამაში ინტეგრირებულ ზოგად მოდულებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.
11. მიმართვის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია, მიმართვიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ამავე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად გასცეს პროფესიული სტუდენტის ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში აკადემიური მიღწევების ამსახველი დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების ცნობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი ერთსა და იმავე სწავლის შედეგთან მიმართებით რამდენიმე კომპლექსურ დავალებას ასრულებს. თითოეული თემის ფარგლებში სავალდებულოა ყველა სწავლის შედეგზე მუშაობა (კომპლექსური დავალებების საშუალებით).

13. შეფასებისას, სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალების გამოყენება. დასაშვებია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთი კომპლექსური დავალებით შეფასება.
14. კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა ეფუძნება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომიას.
15. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პორტფოლიოს სრულფასოვნად შევსებისათვის აუცილებელი აქტივობების განხორციელება.
16. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასების ორგანიზება, მის მიერ დადგენილი წესით.
17. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, კომპლექსური დავალების შეფასებიდან დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადაში, პორტფოლიოში ასახოს სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები.
18. პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან 5 წლის განმავლობაში.
19. პორტფოლიო შეიცავს შემდეგ მონაცემებს:
    ა) პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი ან პასპორტის ნომერი (არსებობის შემთხვევაში);
    ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
    გ) ინტეგრირებული მოდულის სახელწოდება;
    დ) თემის დასახელება;
    ე) კომპლექსური დავალების შინაარსი და ნომერი;
    ვ) პროფესიული სტუდენტის მიერ კომლექსური დავალების შესრულების მტკიცებულება;
    ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასება და მიცემული უკუკავშირი;
    თ) კომპლექსური დავალების მიცემის, შესრულების და პორტფოლიოში მისი განთავსების თარიღები.
20. ინტეგრირებული ზოგადი მოდული დაძლეულად ჩაითვლება, თუ ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია.
21. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა კომპლექსური დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე.
22. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობაა თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევა.
23. პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტების მიღწევების ამსახველი მტკიცებულებების განხილვის და მისი ვერიფიკაციის საფუძველზე, კოლეჯში დირექტორის ბრძანებით შექმნილი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისია (შემდგომში – დადასტურების კომისია) ადგენს, რამდენად მოხდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:
    ა) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება;
    ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ დასტურდება.
24. პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
25. დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია კოლეჯის მიერ მიერ დადგენილი წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.
26. დადასტურების კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
27. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ კოლეჯის წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.
28. დადასტურების კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან.

29. დადასტურების კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.
30. დადასტურების კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
31. დადასტურების კომისიის წევრი უფლებამოსილია მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.
32. კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს დადასტურების კომისიის მიერ ვერიფიკაციის პროცესის სრულფასოვანი განხორციელების ხელშეწყობა.
33. კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესის თაობაზე.
34. დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია კოლეჯის მიერ დადგენილი წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.

<table>
<tr><th rowspan="2">არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება</th><th colspan="3">დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება</th></tr>
<tr><th>ქულები</th><th>შეფასების დონეები</th><th>შეფასების დონეების აღწერა</th></tr>
<tr><td>აბსტრაქტული დონე

პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ბაზისური ცნებების სტრუქტურის განზოგადება და აღქმა სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვიდან; იდეების გადატანა ახალ კონტექსტში; ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკული გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება.</td><td colspan="3">აბსტრაქტული დონე გათანაბრებულია დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების სკალის უმაღლეს ქულასთან -10.</td></tr>
<tr><td rowspan="5">მიმართებითი დონე

პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.

პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.

პროფესიული სტუდენტი მსჯელობს საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.</td><td>10</td><td rowspan="2">მაღალი</td><td rowspan="2">პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.</td></tr>
<tr><td>9</td></tr>
<tr><td>8</td><td rowspan="2">საშუალოზე მაღალი</td><td rowspan="2">პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.</td></tr>
<tr><td>7</td></tr>
<tr><td>6</td><td rowspan="2">საშუალო</td><td rowspan="2">პროფესიული სტუდენტი მსჯელობს საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.</td></tr>
<tr><td>5</td></tr>
<tr><td rowspan="3">მულტისტრუქტურული დონე

პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული რამდენიმე ასპექტის გამოკვეთა განცალკევებით; მათ შორის კავშირისა და მიმართებების ჩვენების გარეშე.

უნისტრუქტურული დონე</td><td>4</td><td rowspan="3">დაბალი</td><td rowspan="3">პროფესიული სტუდენტის მსჯელობა საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.</td></tr>
<tr><td>3</td></tr>
<tr><td>2</td></tr>
</table>

პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა; მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. პრესტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტი საკითხზე მსჯელობისას იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	1		

მუხლი 23. დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისას პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი და პირობები

1. დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი და პირობები (შემდგომში-წესი) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს N416 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 24. შუალედური შეფასების მიზანი, ორგანიზება და სამართლებრივი შედეგი (დუალური პროგრამების და იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას და საკვალიფიკაციო გამოცდას).

1. შუალედური შეფასება წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და პროფესიული სტუდენტებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთერთ მექანიზმს;
2. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა სტუდენტისათვის სავალდებულოა;
3. შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, კრედიტის მინიჭებისათვის, ან სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისათვის/შეცვლისათვის;
4. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;
5. წესის დაცვა და შესრულება ევალება კოლეჯის პროგრამებში ჩართულ ყველა თანამშრომელს, პროფესიულ სტუდენტსა და მონაწილე პარტნიორ სასწავლო საწარმოს/საწარმოებს.
6. შუალედური შეფასების მიზანია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით პროფესიული სტუდენტის პროგრესზე დაკვირვება, რათა საჭიროების შემთხვევაში, დროულად მოხდეს ჩარევა სწავლა-სწავლების პროცესში.
7. შუალედური შეფასება წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკით/სქემით განხორციელებული განმავითარებელი შეფასებაა, რომლის შედეგად შემუშავდება რეკომენდაციები და რჩევები, როგორც ცალკეული პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევასთან, ისე პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით.
8. შუალედური შეფასების ფარგლებში გამოყენებულ იქნება არადიფერენცირებული (დადასტურდა/ვერ დადასტურდა) შეფასება,
9. შუალედური შეფასების თემატიკა უნდა მოიცავდეს შუალედური შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს, რაც გულისხმობს კომპლექსურად, განვლილი თემატიკის შემაჯამებელ დავალებას/დავალებებს.
10. შუალედური შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შემდეგი ტიპის დავალებები:
    ა) კომპლექსური დავალება - თეორიული შეფასება;
    ბ) კომპლექსური პრაქტიკული დავალება;
    გ) კომპლესური დავალება - შერეული თეორია და პრაქტიკა;
    დ) პორტფოლიოს პრეზენტაცია;
    ე) დასრულებული ან მიმდინარე პროექტი;

ვ) პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მომზადების გზით;

11. შუალედური შეფასების დაგეგმვას, ორგანიზებას და განხორციელებას უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია (შემდგომში ,,კომისია“), რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისგან და დაკომპლექტდება კოლეჯის ადმინისტრაციის წევრებისა და პროფესიული მასწავლებლებისგან და პარტნიორი სასწავლო საწარმოს/საწარმოების წარმომადგენლებისგან. საჭიროების შემთხვევაში, კომისიაში შესაძლებელია შეყვანილ იქნენ დარგში არსებული დარგობრივი უნარების ორგანიზაციის, სხვადასხვა ასოციაცია/გაერთიანების ან/და ბიზნეს სუბიექტის წარმომადგენლებიც.
12. შუალედური შეფასება ტარდება, როდესაც პროფესიულ სტუდენტს გავლილი ექნება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%-ისა.
13. შუალედური შეფასების ვადები/თარიღები განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შუალედური შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ ერთი/ორი თვით ადრე.
14. შუალედური შეფასების კრიტერიუმებისა და თარიღის შესახებ პროფესიულ სტუდენტს ინფორმაციას აწვდის პროგრამის ხელმძღვანელი/მოდულის განმახორციელებელი შეფასების ჩატარებამდე ორი კვირით ადრე,
15. შუალედური შეფასების შედეგების ასახვა კომისიის წევრების მიერ განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ელექტრონული პლატფორმის გამართვამდე კი შეფასების შედეგების ასახვა და შენახვა მოხდება კომისიის მიერ მატერიალურად ჯგუფის უწყისის ფორმისა და თანდართული მტკიცებულების სახით.
16. შუალედური შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტს ინფორმაციას აწვდის კომისია შეფასების დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, ხოლო პლატფორმის გამართვამდე პროგრამის ხელმძღვანელი ზეპირი უკუკავშირით.
17. შუალედური შეფასების შედეგების შესახებ პარტნიორ სასწავლო საწარმოს ინფორმაციას აწვდის კომისია, შეფასების დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში.
18. შუალედური შეფასების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას კოლეჯის მიერ დადგენილი წესით ან შუალედური შეფასების კომისიის ჩართულობით;
19. პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე;
20. კომისიის კომპეტენციაა შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაწესებულებას მისცეს უკუკავშირი პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები.
21. რეკომენდაციების შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთოს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;
22. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში;
23. შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა განმეორებითი შუალედური შეფასებაში მონაწილეობის უფლება,
24. განმეორებითი შეფასების თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, სტუდენტთან კომუნიკაციის და შეთანხმების საფუძველზე, სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის წარდგინებით;
25. განმეორებითი შეფასების საბოლოო ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით საკვალიფიკაციო გამოცდამდე არა უგვიანეს ორი თვისა.
26. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც შუალედურ შეფასებაზე (მათ შორის, განმეორებით შუალედურ შეფასებაზე) არ გამოცხადდება, შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პროფესიული სტუდენტი განმეორებითი შუალედური შეფასების თარიღიდან 15 დღის ვადაში მიმართავს კოლეჯს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით.

მუხლი 25. საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება და სამართლებრივი შედეგი (დუალური პროგრამების და იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას და საკვალიფიკაციო გამოცდას).

1. აღნიშნული წესის მიზანია უზრუნველყოს ერთიანი პროცედურით საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება და ჩატარება
2. საკვალიფიციო გამოცდის მიზნებია: განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და კვალიფიკაციის მინიჭება;
3. საკვალიფიკაციო გამოცდა სავალდებულოა ყველა იმ დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტისთვის, რომელმაც დაასრულა პროგრამა, მონაწილეობა მიიღო შუალედური გამოცდაში;
4. საგამოცდო თარიღი, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა და დამკვირვებლები განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით;
5. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი პირის სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;
6. კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი;
7. კომისიაში სავალდებულო წესით უნდა მონაწილეობდეს დარგის შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი, რომელიც არ არის კოლეჯის წარმომადგენელი;
8. კომისიის კომპეტენციაა საკვალიფიკაციო გამოცდის დადებითი შედეგების საფუძველზე შუამდგომლობით მიმართოს დირექტორს სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე;
9. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;
10. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;
11. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;
12. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;
13. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;
14. კომისიის წევრი უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული პოზიცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წერილობით დაურთოს ოქმს;
15. კომისიის მუშაობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ განსაზღვრული პირი/სამსახური;
16. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა ამ (მეილი, ან შეხვედრა და სხვა) ფორმით;
17. ინფორმაციის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს წერილობით გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება;
18. საჩივრის განხილვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სააპელაციო კომისია;
19. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია განიხილოს სტუდენტის საჩივარი და მიიღოს ერთერთი გადაწყვეტილება:
    ა) საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
    ბ) საკითხის საკვალიფიკაციო კომისიისათვის განსახილველად დაბრუნების შესახებ;
20. კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას საჩივრის შემოტანიდან ერთი თვის ვადაში;
21. პროფესიული სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის და/ან საკვალიფიკაციო კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს განმეორებითი შეფასება, რომლის ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (არა უმეტეს 10 დღისა)
22. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ოჯახის წევრის გარდაცვალება, პირადი განცხადება (მიზეზის მითითებით) - წინასწარი თხოვნა შუალედური და/ან საკვალიფიკაციო შეფასების თარიღის გადატანის თაობაზე ან სხვა ობიექტური გარემოება, რაც დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი ცნობით;
23. განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება განცხადების წარდგენიდან ორი კვირის განმავლობაში.

24. განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი აღარ დაიშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე და არ მიენიჭება კვალიფიკაცია. მოთხოვნის შემთხვევაში, მასზე გაიცემა შესაბამისი დოკუმენტი გავლილი მოდულების შესახებ.
25. საგამოცდო პროცესის დამკვირვებელი ვალდებულია:
ა) გამოცდის ჩატარების ადგილას გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე და აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;
ბ) უწყისში რეგისტრაციაში გაატაროს პროფესიული სტუდენტები და ხელმოწერით ან მონიშვნით დააფიქსირებინოს გამოცდაზე გამოცხადება;
გ) გამოცდის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტს გააცნოს საგამოცდო წესები, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს გამოცდის მიმდინარეობის პროცესში;
დ)პროფესიულ სტუდენტთა თვალწინ გახსნას დალუქული კონვერტი და დაარიგოს საგამოცდო ტესტები.
ე) დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში;
ვ) გასცეს პასუხი პროფესიული სტუდენტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს;
ზ) არ გასცეს პასუხი საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე;
თ) მკაცრად აკონტროლოს პროფესიული სტუდენტების მიერ უფლება-მოვალეობების დაცვა, მათი დარღვევის შემთხვევაში იმოქმედოს წინამდებარე წესის შესაბამისად;
ი) პროფესიული სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, ჩამოართვას საგამოცდო ფურცლები. საგამოცდო ფურცელზე გააკეთოს წარწერა – ,,მოხსნილია გამოცდიდან" მიზეზის მითითებით;
კ) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გააფრთხილოს პროფესიული სტუდენტები საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ;
ლ) გამოცდის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტებს ჩამოართვას ნამუშევრები და გადასცეს ისინი შესამოწმებლად კომისიის წევრებს;
მ) უზრუნველყოს ნამუშევრების კონფიდენციალობის დაცვა;
ნ) არ დატოვოს მისთვის განსაზღვრული სექტორი, გამოცდის დასრულებამდე.
26. პროფესიულ სტუდენტს უფლებები და აკრძალვები
პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:
ა) მოითხოვოს გამოცდისთვის სათანადო პირობები (სამუშაო სივრცე, განათება);
ბ) საგამოცდო ოთახში შეიტანოს სასმელი წყალი, საანგარიშო კალკულატორი;
გ) გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება

გამოცდაზე აკრძალულია:
ა) საგამოცდო ნაწერის შესრულება იმ ფურცლებზე/საგამოცდო ფურცლებზე, რომელიც დამკვირვებელს არ დაურიგებია;
ბ) საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ საგამოცდო სივრცის დატოვება წერის სრულად დამთავრებამდე, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა;
გ) გამოცდის პროცესის დროს საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება (აღნიშნულ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან);
დ) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა;
ე) მობილური ტელეფონების გამოყენება კალკულატორად;
ვ) სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით;
ზ) სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა აუდიტორიის გარეთ გამოცდის პერიოდში;
თ) სხვა პროფესიული სტუდენტის ტესტში ან ნაშრომში ჩახედვა ან მისი გადაწერა;
ი) სხვა პირის დახმარება, სხვა პროფესიული სტუდენტისგან დახმარების მიღება ნებისმიერი ფორმით;
კ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება ან მუშაობის გაგრძელება;
ლ) საგამოცდო მასალების გადაწერა, გადაღება, მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით.
27. პროფესიული სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის საფუძვლებია:
ა) პროფესიული სტუდენტი გაფრთხილების გარეშე იხსნება გამოცდიდან, თუ აღმოჩენილ იქნება ლექსიკონი, გამოცდაზე დაუშვებელი წერილობითი ჩანაწერი მობილური ტელეფონი, აიპადი, დამხმარე მასალა (გარდა ნებადართული შემთხვევისა), ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში);

ბ) წესრიგის დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფა, ან სხვა მსგავსი შემთხვევა;

გ) გამოცდაზე გამოცხადება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

დ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდაზე გამოცხადება.

28. ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას პროფესიული სტუდენტი იღებს გაფრთხილებას. მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდიდან მოხსნას პროფესიული სტუდენტი.
29. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს კოლეჯის დირექტორს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.
30. გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესი:

ა) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს;

ბ) საჩივრის განხილვის მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება კომისია (მინიმუმ 3 წევრი), რომლის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი, დარგის სპეციალისტი, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი, ან სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი;

გ) კოლეჯი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს;

დ) კომისიას უფლება აქვს ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი და დატოვოს იგივე შეფასება, ან დაწეროს უფრო მაღალი/დაბალი ქულა;

ე) კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

ვ) პროფესიულ სტუდენტს გადაწყვეტილება ეცნობება იმავე დღეს.

მუხლი 26. შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვა

1. მოდულის დასრულების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებლები შეკრებილ მტკიცებულებებს შენახვისა და ელექტრონულად აღრიცხვის მიზნით, გადასცემენ სასწავლო პროცესის სპეციალისტს, რომლის უფლება-მოვალეობებში განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის მიერ;

2. შეგროვებული მტკიცებულებები უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ინახება სტუდენტის პორტფოლიოში.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია - შეფასების მტკიცებულებები, ინახება სასწავლებელში შეფასების განხორციელებიდან სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ;
4. შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ გასანადგურებელი დოკუმენტები ნადგურდება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" შესაბამისად;
5. დოკუმენტები, რომლებიც გამოირჩევა შესრულების ხარისხით და შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასწავლო ან სხვა მიზნებისათვის, შესაძლოა ინახებოდეს ბიბლიოთეკაში;
6. მოდულის შეფასების უწყისების და ჯამური შეფასებების შენახვა - აღრიცხვა ხდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-Flow) საშუალებით, სადაც აღირიცხება მონაცემები თითოეული ჯგუფის თითოეული პროფესიული სტუდენტის მოსწრების შესახებ. ელექტრონულად ინახება და აღირიცხება სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში მიღებული ყველა დადებითი და უარყოფითი შეფასება." (შეტანილია ცვლილება სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2020 წლის 21 ოქტომბრის №156 ბრძანებით)
7. პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის განხილვის დროს, პროგრამის ხელმძღვანელი შეგროვებულ მტკიცებულებებს სტუდენტთა პორტფოლიოს სახით წარუდგენს საკვალიფიკაციო კომისიას, ხოლო შემდეგ მტკიცებულებები სტუდენტთა პორტფოლიოს სახით გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. (გარდამავალ პერიოდში, სანამ საკვალიფიკაციო გამოცდა დაინერგება);

მუხლი 27. შეფასების შედეგების გაპროტესტება/აპელაცია

1. სწავლის შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად 1 სამუშაო დღის ვადაში.
2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან 1 სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი საჩივარი წარადგინოს დირექტორის სახელზე, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა იმ შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების პროცესში, იმავე, ან მომდევნო სამუშაო დღეს.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით საჩივარს განიხილავს 1 სამუშაო დღის ვადაში.
4. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი ფასდება ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, დირექციის დავალებით შესაბამისი ნაშრომის შეფასება დაევალება კოლეჯის შესაბამისი დარგის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელს.
5. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა და ძალაში დატოვოს მიღებული შეფასება, ან მიღებული შეფასება შეცვალოს პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ.
6. გასაჩივრების დაკმაყოფილების და პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების მის სასარგებლოდ შეცვლის შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აღნიშნული ასახოს შეფასების უწყისში, რისთვისაც წერს სამსახურებრივ ბარათს დირექტორის სახელზე.
7. გასაჩივრების შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება წერილობითი საჩივრის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 28. შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასების შედეგების გასაჩივრება

1. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ დაუშვეს შუალედურ შეფასებაზე ან რომელსაც არ მისცეს გაცდენილი შუალედური შეფასების აღდგენის უფლება, უფლებამოსილია, არაუგვიანეს შეფასების თარიღიდან 7 დღისა დასაბუთებული პრეტენზიით, წერილობითი ფორმით მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
2. პროფესიული სტუდენტის განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა ადმინისტრირების ჯგუფი აპელაციის თარიღს აცნობებს განმცხადებელს (მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე/ელ. ფოსტაზე).
3. დირექტორი, განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, შექმნის სააპელაციო კომისიას, რომელიც უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 წევრისაგან და რომლის შემადგენლობაშიც უნდა მონაწილეობდეს იმ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, იმ შემთხვევაში თუ რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებას გადის პროფესიული სტუდენტი.
4. სააპელაციო კომისიას თავმჯდომარეობს კოლეჯის დირექტორი.
5. სააპელაციო კომისიაში არ შეიძლება შედიოდეს შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფის წევრი.
6. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ზეპირი მოსმენის საფუძველზე.
7. სააპელაციო კომისია დანიშნავს განმეორებითი შუალედური და ან საკვალიფიკაციო შეფასების ახალ თარიღს, თუ მიიჩნევს, რომ არსებითად დაირღვა ამ წესით გათვალისწინებული პროცედურა.
8. განმეორებითი შეფასება ინიშნება ამ წესით დადგენილ ვადაში.
9. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
10. დუალური სწავლების შემთხვევაში აღნიშნული წესი და პირობები განისაზღვრება სასწავლო საწარმოსთან თანამშრომლობით. ამასთანავე, დარგობრივი უნარების ორგანიზაცია უფლებამოსილია, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვროს შუალედურ და საკვალიფიკაციო შეფასებასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები.

მუხლი 29 . კვალიფიკაციის მინიჭება, პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის გაცემა, სერტიფიკატის გაცემა.

1. კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯი ,,მოდუსის“ დირექტორის პრეროგატივას შეფასებისა და კომპეტენციათა დადასტურების დოკუმენტაციის სარევიზიო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე;
2. პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის კრედიტების ათვისება, შედეგების დადასტურება და ხოლო დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დამატებით პირობას წარმოადგენს შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

3. შეფასებისა და კომპეტენციათა დადასტურების დოკუმენტაციის სარევიზიო კომისია პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით, უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების და დადებითი შეფასებების მიღების ავთენტურობას, რომელთა მიღება პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენს
4. შეფასებისა და კომპეტენციათა დადასტურების დოკუმენტაციის სარევიზიო კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
5. შეფასებისა და კომპეტენციათა დადასტურების დოკუმენტაციის სარევიზიო კომისიის სხდომის მდივანი (იურისტი) დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.
6. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის განმსაზღვრელი პროფესიული დიპლომი, შემდეგი წესით: სტუდენტებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანება ეგზავნება კოლეჯის IT სპეციალისტს. IT სპეციალისტი ბრძანებაში მითითებულ თითოეულ სტუდენტზე ავსებს დიპლომს, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დიპლომის ფორმის შესაბამისად და გასცემს კურსდამთავრებულებზე მათი მოთხოვნის საფუძველზე, რაც დასტურდება დიპლომების გაცემის ჟურნალში დიპლომის მიმღების ხელმოწერით. დიპლომთან ერთად გაიცემა შესაბამისი დანართი, რომლის ფორმაც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. კოლეჯის მიერ შესყიდული დიპლომის ფორმის დაზიანების/გაფუჭების შემთხვევაში, ხდება მისი ჩამოწერა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
7. სსსმ/შშმ პირი, რომლის მიერ ვერ იქნება ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო მოდულის სწავლის შედეგები, ითვლება კურსდამთავრებულად და მასზე გაიცემა პროგრამის გავლის დამადასტურებელი ცნობა, მოთხოვნის შემთხვევაში დაძლეული სწავლის შედეგების მითითებით.

მუხლი 30. პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა

1. პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.
2. განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე სისტემატურად იღებს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.
3. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხორციელდება ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის დაცვით.
4. პროფესიული სტუდენტის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციები. კონსულტაციის ვადებს და ფორმებს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი.
5. სწავლის დაწყების მომენტიდან ხდება პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პროფესიულ სტუდენტებს აცნობს კოლეჯის სერვისებს და ინფრასტრუქტურას ინფოტურის მეშვეობით (ბიბლიოთეკა, სამზარეულო, რეკრეაციული ზონები და ა. შ).
6. სასწავლო წლის პირველ დღეს კოლეჯის კომუნიკაციისა და სტუდენტური აქტივობების მენეჯერი აცნობს პროფესიულ სტუდენტებსს კოლეჯის ვებ-გვერდსა და ფეისბუქ-გვერდს. ვებ-გვერდის გაცნობის პარალელურად პროფესიული სტუდენტები ეცნობიან კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სტრუქტურას, იმ პროგრამებს, რომლებსაც სთავაზობს კოლეჯი მსურველებს, ასევე კოლეჯში მოქმედ სხვადასხვა სერვისებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტს, მათ უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს და „პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესს“.
7. სასწავლო წლის დასაწყისში, პროფესიულ სტუდენტებს, კოლეჯის უსაფრთხოების სპეციალისტი უტარებს ზოგადი უსაფრთხოების წესების შესახებ ინსტრუქტაჟს. პროფესიულ სტუდენტებს უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით ინსტრუქტაჟი უტარდებათ სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო ლაბორატორიებში ყოველი მეცადინეობის წინ, შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი, აცნობს შრომის უსაფრთხოების წესს. სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, უწევს კონსულტირებას საწარმოო პრაქტიკაზე გასვლის წინ.
8. კოლეჯის კომუნიკაციისა და სტუდენტური აქტივობების მენეჯერი ახორციელებს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების/ ინიციატივების მხარდაჭერას. ამ მიზნით კოლეჯი ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო,

შემოქმედებითი, სპორტული,საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება კოლეჯის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს.

9. ინიციატივების განხორციელებისთვის საინიციატივო ჯგუფი/ინიციატორი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს. დირექტორის თანხმობის შემთხვევაში, განისაზღვრება ფინანსური და/ან მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ფორმა, სახე და ზომა. დაფინანსებული ღონისძიების განხორციელების შემდეგ, კოლეჯის დირექტორს წარედგინება შესაბამისი დოკუმენტაცია.
10. ინიციატივის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ინიციატორს ეცნობება არგუმენტირებული უარი.
11. დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის კომუნიკაციისა და სტუდენტური აქტივობების მენეჯერი, რომელიც ინიციატივის საფუძველზე განსაზღვრავს და შეათანხმებს დირექტორთან ვადებს, რესურსებს და დაგეგმილ აქტივობებს.
12. განსახორციელებელი ღონისძიება დაანონსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე, ასევე სოციალურ (ფეისბუქ) გვერდზე
13. კოლეჯში არსებობს „ანონიმური ყუთი“, სადაც პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ტოვებენ წინადადებებსა და სურვილებს. აღნიშნულ პროცედურაზე პასუხისმგებელია სტუდენტური სერვისების მენეჯერი, რომელიც ახარისხებს შემოსულ წინადადებებს და რეაგირების მიზნით აცნობს შესაბამის პირებს. ანონიმური ყუთი იხსნება თვეში ერთხელ.

თავი VII

მუხლი 31. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

1. კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის(საჭიროების შემთხვევაში), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.
3. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
5. სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში პროფესიული მოდულის პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს დირექციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო საჭიროებ (ებ)ის შესახებ.
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად.

7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ მტკიცდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვ. შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.
8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ივსება. გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა. შ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აზუსტებს ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს.
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში:
ა) მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს;
ბ)შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები;
გ)სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა;
დ)განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;
ე)საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა;
ვ)გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული;
ზ)შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

მუხლი 32. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/ სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება შემდეგ შემთხვევებში:
ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის);
ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ);
გ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ) ;
დ)მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას;
ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორსმაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ).
5. სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება შემდეგნაირად:
ა) პროფესიული განათლების მასწავლებელი მიმართავს კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების მიზნით.
ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და/ან ადმინისტრაციის სპეციალისტი შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგის პროფესიული განათლების მასწავლებელთან/ინსტრუქტორთან ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

გ) სსსმ პირისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ივსება.
დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება მიმართოს სწავლების განსხვავებულ მეთოდებს და სტრატეგიებს, გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ეფექტური სწავლება-სწავლის მეთოდი, პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა, შეცვალოს პროფესიული სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.
6. მობილობისას, სტატუსის აღდგენისას, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას, ან ფორსმაჟორული ვითარების დროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მუშავდება შემდეგნაირად:
ა) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი და ადმინისტრაციის სპეციალისტთან კოორდინირებით, ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების შესაბამის/ თავსებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი და გავლილი მოდულების/სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობის საკითხს. შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, სასწავლო პროცესის მენეჯერი ამზადებს სამსახურებრივ ბარათს პირის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.
ბ) სტატუსის აღდგენისას პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, სადაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რისთვისაც სასწავლო პროცესის მენეჯერი, ან სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი მარნეულში ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ, უკვე ათვისებულ სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს სასწავლო განრიგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ჩარჩო დოკუმენტის სპეციფიკის გათვალისწინებით. თუ პროფესიული სტუდენტის მიერ არ არის დადასტურებული ყველა სწავლის შედეგი, მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს. პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.
გ) მობილობისას, სასწავლო პროცესის მენეჯერი ან სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილ, დადასტურებულ სწავლის შედეგებს. შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, სასწავლო პროცესის მენეჯერი ამზადებს სამსახურებრივ ბარათს პირის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.
დ) ფორსმაჟორული ვითარების დროს, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ან სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი მარნეულში, აფასებს პროგრამის მიმდინარეობის შესაძლებლობას და შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, სასწავლო პროცესის მენეჯერი ამზადებს სამსახურებრივ ბარათს და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს სხვადასხვა ჯგუფებისთვის შესათანხმებლად წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ დადებითად შეფასების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტ(ებ)ი წარედგინება კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად. ფორსმაჟორული ვითარების დროს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლოა იცვლებოდეს ან თავიდან დგინდებოდეს გარკვეული, წინასწარ განსაზღვრული პერიოდებისთვის
7. დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული სტუდენტი/ჯგუფი/აგრძელებს სწავლას.
8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.

მუხლი 33. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის გაგრძელება.

1. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.
2. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და ის უფლებამოსილია:
   ა) სწავლა განაგრძოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი (დადგენილი წესის მიხედვით მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის) განცხადების საფუძველზე, შემდგომი ტესტირების ფარგლებში ამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე.
   ბ)ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
   გ)ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, გარდამავალი(მომლოდინე)სტატუსის მქონე სტუდენტს შეუძლია შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა ან კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება №69/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა არ აკლდება დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა მომდევნო მიღებისათვის დადგენილ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.
3. პროფესიული სტუდენტის მიერ ,ქართული ენის მოდულის სწავლის შედეგების დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

თავი VIII

მუხლი 34. კოლეჯის მიერ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანა. (რეესტრის წარმოება).

1. კოლეჯის რეესტრის წარმოება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №11/ნ ბრძანებთ დამტკიცებული პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების შესაბამისად.
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ რეესტრი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
3. სისტემაში მუშავდება შემდეგი კატეგორიის ინფორმაცია:
   ა) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შესახებ;
   ბ) მოდულების შესახებ;
   გ)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების, განხორციელების უფლებამოსილების მქონე იურიდიული პირების შესახებ;
   დ) პროგრამების შესახებ;
   ე) დაწესებულების ადამიანური რესურსის შესახებ;
   ვ) პროგრამებზე ჩარიცხვის/მიღების შესახებ;
   ზ) პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირების/ჩარიცხული პირების შესახებ;
   თ) დაწესებულების დაფინანსების შესახებ.
4. სისტემა, მოდულების შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
   ა) მოდულის სახელწოდება;
   ბ) მოდულის სარეგისტრაციო ნომერი;

გ) მოდულის დამტკიცების/მასში ცვლილების/დამატების შეტანის/გაუქმების გადაწყვეტილების რეკვიზიტები (გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელება, აქტის ნომერი, გადაწყვეტილების მიღების და ძალაში შესვლის თარიღები)/გადახედვის ვადა;

დ) კრედიტების რაოდენობა;

ე) მოდულზე დაშვების წინაპირობა;

ვ) მოდულის აღწერა;

ზ) სწავლის შედეგები;

თ)მინიმალური მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო გარემოს მოწყობასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

ი) მოდულის რედაქცია/ვერსია;

კ) მოდულის საფასურის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი მაქსიმალური ოდენობა;

ლ) მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

5. სისტემა, დაწესებულების შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ბ) საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) სამართლებრივი ფორმა;

დ) დაწესებულების სახე;

ე) დაწესებულების ტიპი (სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული, კერძო სამართლის იურიდიული პირი);

ვ) ავტორიზაციის მინიჭების თარიღი, ვადა და შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების რეკვიზიტები (გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელება, აქტის ნომერი, გადაწყვეტილების მიღების და ძალაში შესვლის თარიღები, ავტორიზაციის ვადის ამოწურვის/ავტორიზაციის გაუქმების თარიღი);

ზ) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;

თ) საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ვებგვერდის მისამართი, ფაქტობრივი და იურიდიული მისამართ(ებ)ი – რეგიონის და თვითმმართველი ქალაქის/მუნიციპალიტეტის მითითებით;

ი) საბანკო რეკვიზიტები;

კ) ინფრასტრუქტურა;

ლ) მატერიალური რესურსი (ინვენტარი-აღჭურვილობა);

მ) საქმიანობის სფერო;

ნ) ბიზნესთან თანამშრომლობა;

ო) პასუხისმგებელი პირები (სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (მობილური, ელექტრონული ფოსტის მისამართი);

პ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილები;

ჟ)მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

6. სისტემა, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ბ) საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) სამართლებრივი ფორმა;

დ) საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქტობრივი და იურიდიული მისამართ(ებ)ი – რეგიონის და თვითმმართველი ქალაქის/მუნიციპალიტეტის მითითებით);

ე)პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების რეკვიზიტები (გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელება, აქტის ნომერი, გადაწყვეტილების მიღების და ძალაში შესვლის თარიღები);

ვ) მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

7. სისტემა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმა;

ბ.ა) პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა);

ბ.ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა);

ბ.გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება დუალური სწავლებით;

ბ.დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური ან კვალიფიკაციის დონე;

დ) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული დეტალური სფერო და შესაბამისი კოდი, დეტალური სფეროს მე-3 სვეტით განსაზღვრული სწავლის სფერო და შესაბამისი კოდი, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისი კოდი, დასრულებული ან/და მილევად რეჟიმში არსებული პროგრამებისთვის;

ე) მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციის დასახელება;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის;

ზ) სწავლების ენა;

თ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა;

ი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მისამართი);

კ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა (თვეების/დღეების მიხედვით), სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები;

ლ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულები;

მ) მოდულის მისაღწევი სწავლის შედეგები;

ნ) მოდულის ხანგრძლივობა (კვირებში/საათებში);

ო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის საფასურის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი მაქსიმალური ოდენობა;

პ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების მიერ დადგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის სწავლის საფასურის ოდენობა;

ჟ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი (ინვენტარი – აღჭურვილობა და მასალა-ნედლეული), ხოლო არარსებობის შემთხვევაში, შესაბამისი რესურსის მოთხოვნისათვის საჭირო ინფორმაცია;

რ) პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაცია;

ტ) მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

8. სისტემა, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროგრამის სახელწოდებასა და სახეს (მომზადება/გადამზადება);

ბ) პროგრამის ელექტრონულ ფორმას, რომელზეც შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/კვალიფიციური ელექტრონული შტამპი;

გ) პროგრამის ხანგრძლივობა;

დ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (ასაკი, განათლება და სხვ.);

ე) პროგრამის მოკლე აღწერა;

ვ) პროგრამის განხორციელების ადგილი;

ზ) ადგილების ზღვრული რაოდენობა პროგრამაზე;

თ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე (მე-2/მე-3/მე-4/მე-5);

ი)პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი (ინვენტარი – აღჭურვილობა);

კ) პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი სასწავლო რესურსი;

ლ) მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

9. სისტემა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ადამიანური რესურსის შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
   ა)თანამშრომლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა, მისამართი (ფაქტობრივი/იურიდიული) ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;
   ბ)თანამშრომლის მიერ დაკავებული თანამდებობა, თანამდებობის დაკავების ან შრომითი ურთიერთობის წარმოშობის თარიღი, გათავისუფლების თარიღი, შესაბამისი დოკუმენტების სისტემაში ატვირთვით;
   გ) თანამშრომლის განათლება (დაწყება/დასრულების თარიღები, აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია, გავლილი ტრენინგები/ კურსები) და სამუშაო გამოცდილება;
   დ) პროგრამის/საგნის/მოდულისა და მიღების შესახებ ინფორმაცია, რომლის განხორციელებაშიც არის ჩართული თანამშრომელი (აკადემიური პერსონალი).
10. სისტემა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხულ პირთა შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
   ა) პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, მისამართი (ფაქტობრივი/იურიდიული), საკონტაქტო მონაცემები (მობილური, ელექტრონული ფოსტის მისამართი);
   ბ) განათლება (ზოგადი განათლების საბაზო ან საშუალო საფეხური, ინფორმაცია სხვა სახის განათლების არსებობის თაობაზე);
   გ) პროგრამა, რომელზეც განხორციელდა ჩარიცხვის უფლების მოპოვება/მინიჭება;
   დ) პირის სტატუსი (ჩარიცხვის უფლების მქონე პირი, აპლიკანტი, პროფესიული სტუდენტი, მომლოდინე, შეჩერებული, შეწყვეტილი, კურსდამთავრებული და სხვ.);
   ე) პირის პროგრამაზე ჩარიცხვის/შეჩერების/შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია, საფუძველი, შესაბამისი აქტის ნომერი და თარიღი;
   ვ) პროგრამის დასრულების შემდეგ, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების აქტის ნომერი და თარიღი;
   ზ) მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ნომერი და სერია, გაცემის თარიღი, შესაბამისი დოკუმენტების სისტემაში ატვირთვით;
   თ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის დანართი;
   ი) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი;
   კ)ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსგან, პირის სოციალური სტატუსის შესახებ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტისგან, პირის თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ.
11. სისტემა, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხულ პირთა შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
   ა) პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, მისამართი (ფაქტობრივი/იურიდიული), საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);
   ბ) ინფორმაცია აპლიკანტის განათლების შესახებ;
   გ)პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის სახელწოდება და პროგრამის სახე (მომზადება/გადამზადება), რომელზეც განხორციელდა ჩარიცხვის უფლების მოპოვება/მინიჭება;
   დ) პირის სტატუსი (რეგისტრირებული, აქტიური, შეწყვეტილი, კურსდამთავრებული);
   ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი;
   ვ) სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსგან, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, მიღებული ინფორმაცია პირის სოციალური სტატუსის შესახებ;
   ზ) ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ.
12. სისტემა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მქონე დაწესებულების დაფინანსების შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
   ა) დაწესებულების სახელწოდება რომლის დაფინანსებაც ხორციელდება, ამავე დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი და სამართლებრივი ფორმა;
   ბ) დაფინანსების სახე (ვაუჩერული დაფინანსება; მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება);
   გ) დაფინანსების ოდენობა;
   დ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, ასევე მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

სისტემაში ასახული ინფორმაციის მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია.

13. სისტემაში ასახული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია კოლეჯის IT სპეციალისტი;
14. სისტემაში ინფორმაციის შემტანი სუბიექტის სამართლებრივ აქტებში ასახულ ინფორმაციასა და სისტემაში ასახულ შესაბამის ინფორმაციას შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, გაითვალისწინება სისტემის მონაცემები.
15. საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია დადგინდეს სისტემის სუბიექტის მიერ სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისტემის სხვა სუბიექტის მხრიდან დადასტურების აუცილებლობა და დადასტურებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
16. კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების ან/და ინფორმაციის სისტემატიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაძლებელია განისაზღვროს სისტემაში სხვა ინფორმაციის (გარდა პერსონალური მონაცემებისა) დამუშავების აუცილებლობა, სისტემის სუბიექტები და შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
17. სისტემის მონაცემებში ცვლილება ხორციელდება დირექტორის ბრძანების შესაბამისად და ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.